როცა მატჩის დამთავრებას წამები აკლდა

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“შახტიორი” (სტალინო) _ “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:0, 0:0, 1:1).

“შახტიორი” _ სტრელკოვი, გოლოვკო, სნეგიროვი, ალიაბიევი, კოლოსოვი, სალკოვი, საფრონოვი, ანანჩენკო, საველიევი, როსიხინი, კროშჩენკო (შუტილოვი).

“დინამო” _ კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე (ჟორდანია), მესხი.

მსაჯი: ლიტვინასი (ვილნიუსი).

პირველმა ნახევარფინალურმა მატჩმა საბჭოთა კავშირის თასზე დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოველ სპორტის მოყვარულთა შორის. დედაქალაქის ცენტრალური სტადიონი თოვლის, საკმაოდ დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, სავსე იყო მაყურებლებით. ისინი საინტერესო ბრძოლის ნახვის სურვილმა მოიყვანა აქ.

მოწინააღმდეგეებმა მეტისმეტად ნერვიულად დაიწყეს თამაში. ეს კანონზომიერიცაა, რადგან ოლიმპიური სისტემა დამარცხებულს სასტიკად სჯის და მხოლოდ გამარჯვებულს აძლევს სასურველი “ნადავლისათვის” შემდგომი ბრძოლის უფლებას. სტალინოელებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა კროშჩენკო, პირველებმა დაარღვიეს “მყუდროება”, მაგრამ რეალური საფრთხე ვერ შექმნეს თბილისელთა კართან. სამაგიეროდ მე-7 წუთზე დინამოელებმა დაკარგეს კარის აღების აშკარა შესაძლებლობა.

პირველ ნახევარში გოლის გატანის კიდევ ერთი შესაძლებლობა დაკარგეს, როცა მელაშვილის კარგად ჩაწოდებული ბურთის მიღებაში ერთმანეთს შეუშალეს ხელი ბარქაიამ და ღოღობერიძემ. შესვენების შემდეგაც კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ სტალინოელი მცველები.

მეორე ნახევარი თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩატარდა, მაგრამ კვლავ ამაოდ. ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა. საჭირო გახდა დამატებითი 30 წუთი.

მატჩის განახლებისას ღოღობერიძის ნაცვლად შემოსულმა ჟორდანიამ ახალი ძალა შემატა გუნდს, უფრო შეთამაშდა მესხი და მატჩის მე-100 წუთზე სწორედ მათ მიერ გათამაშებული კომბინაცია კალოევის ზუსტი თავური დარტყმით და “შახტიორის” კარის აღებით დამთავრდა _ 1:0.

მიიწურა დამატებითი დროის 15 წუთი. გუნდებმა შეცვალეს მხარეები, რასაც მოჰყვა თბილისელი მცველების _ სიჭინავასა და თორაძის შეცდომა... ანანჩენკომ ანგარიში გაათანაბრა _ 1:1.

გუნდი ისევ მესხმა იხსნა. უკანასკნელ წამებში ბარქაიამ ღრმა რეიდის შემდეგ კარგად მიაწოდა თბილისელთა მარცხენა გარემარბს და ამ უკანასკნელმა უძლიერესი დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი გოლი _ 2:1. თბილისის “დინამო” საკავშირო თასის გათამაშების ისტორიაში მეოთხედ გავიდა ფინალში.

“ლელო”, 27 ოქტომბერი, 1960 წ.